



იხილეთ მე-8 გვერდზე

სპეციალური ჩანართი სურსათის
 უვნებლობის შესახებ №1, №2

იხილეთ მე-3-6 გვერდებზე

რეგიონული მედიის ასოციაციამ იმერეთში ტრეფიკინგის პრევენციის საინფორმაციო კამპანია დაიწყო



მ. ჯ. ფოტო ©

ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით, ქუთაისში საინფორმაციო კამპანია დაიწყო, რომელიც იუსტიციის სამინისტროს საგარანტო კონკურსის ფარგლებში მიმდინარეობს. მის აღმინისტრირებას სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ ახორციელებს. პროექტის მიზანია, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგი) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ მათი ინფორმირება და რისკების თავიდან აცილების საშუალებების

გაცნობა. პროექტს — „რეგიონული მედიის ტრეფიკინგის პრევენციის-თვის იმერეთში“ — საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია ახორციელებს. პირველი საინფორმაციო შეხვედრა იმერეთის რეგიონში არსებული პრესის, ტელე-რადიო მაუწყებლობისა და ინტერნეტმედიის წარმომადგენლებისათვის გაიმართა 24 სექტემბერს ქუთაისში, გაზეთ „პოსტსკრიპტუმი“ რედაქციაში. საინფორმაციო შეხვედრა წარმარ-

თეს რეგიონული მედიის ასოციაციის, იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. „ამ შეხვედრების დროს ინფორმაცია მიეწოდება მოსახლეობას, სწორედ მასმედიის საშუალებით, თუ რა არის დანაშაული, რა საფრთხეებს მოიცავს ტრეფიკინგი, როგორ უნდა ავარიდოთ თავი ამ დანაშაულს, ვის უნდა მივმართოთ დახმარებისთვის და რა სერვისებს გვთავაზობს სახელმწიფო. ძირითადი ჩვენია ამოცანა

არის, ჩავატაროთ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ტრეფიკინგის შესახებ და შევიძინოთ სახელმწიფო პოლიტიკა, რათა ევბროლოთ მას ქვეყნის შიგნით თუ გარეთ,“ — აღნიშნა ტრენინგის მსვლელობისას ქეთევან სარაჯიშვილმა, იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის მრჩეველმა.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

**საქართველის
 დასვის სუფრაზე
 პრობლემა იქნა
 არსებობს**

იხილეთ მე-2 გვერდზე

**რა იმინ
 მოქალაქეებმა
 „ფორმა 2“-ის
 შესახებ?**

იხილეთ მე-3 გვერდზე

**ზაზა დოლიძე:
 „საქართველო
 ეტაპობრივად
 უახლოვდება
 ევროპულ
 კანონმდებლობას“**

იხილეთ მე-3 გვერდზე

**მომხმარებელს
 უფლება აქვს
 იხილოს, რას
 ყიდულობს**

იხილეთ მე-4 გვერდზე

**საქართველის
 უფლების მოპოვება
 და დასვა იქვე
 მნიშვნელოვან
 პრობლემას
 ნარკოტრეფიკის**

საკანონმდებლო
 ცვლილების მოლოდინში

იხილეთ მე-7 გვერდზე

**როგორ
 ვანაკოროთ
 უპნეპელი
 პროდუქცია —
 რჩევები ფერმერებისა
 და მენარმეებისთვის**

იხილეთ მე-5 გვერდზე

**დარღვევის
 შემთხვევაში
 მომხმარებელმა
 თვალის არ უნდა
 დასუჭოს**

იხილეთ მე-4 გვერდზე

ულიმიტო *220*05#
 4G: ახალი სიჩქარე, უფრო მეტი
 4G: უფრო მეტი სიჩქარე, უფრო მეტი
 ულიმიტო SMS-ი
 1 GB
 + უფასო WhatsApp

**ბილაინის
 აპლიკაცია**

**ქუთაისის ტურისტული
 ლოგო შეიქმნა, თუმცა მერია
 კონკურსს ისევ
 გამოაცხადებს**

იხილეთ
 მე-8 გვერდზე

საკუთრების უფლების დაცვის სფეროში პრობლემები ისევ არსებობს

წინა ხელისუფლების დროს დაწყებული საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტების პრაქტიკის გამოსწორებას რიგ შემთხვევებში, უკანონო კანონმდებლობა უშლის ხელს, რის გამოც, მოსახლეობა მამაპაპისეულ ქონებას დღემდე ვერ იკანონებს.

საქართველოში კერძო საკუთრება ინსტიტუციურად დაცული არ არის, რაც არასამთავრობო სექტორის შეფასებით, ისევე სერიოზული პრობლემაა. ბაზმაროს, გონიოს, წყნეთის, ანაკლიის, მესტიისა და სხვა ტურისტულ თუ ინდუსტრიულ ზონებში, სადაც მოსახლეობა ყველაზე მეტად დაზარალდა და მესაკუთრეების უფლებები მასობრივად დაირღვა, პრობლემების არსებობას, გარდა ჩინოვნიკების პირადი ინტერესებისა, ხარვეზიან კანონმდებლობით, „შერჩევითი სამართლის“, ტრადიციით ხსნიან.

სანამ კანონმდებლობა მესაკუთრის ინტერესებს მორგებული გახდება, ხელისუფლება არსებული კანონებით ცდილობს საკუთრების უფლების საკითხის დარეგულირებას. გადამონშების პროცესში გავარკვეით, რომ უკვე აღდგენილია მინის ლეგალიზაციის პროცესი, რომელიც წინა წლებში შერჩევითი სამართლისა თუ სახელმწიფოს ნების არარსებობის გამო, შეჩერებული იყო. წინა წლებში, ტურისტული და ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ან დაწყებისთანავე, მოქალაქეები საკუთარ ქონებაზე მისი სახელმწიფოსათვის ჩუქების ან მიტოვების გზით მასობრივად უარს ამბობდნენ. პრობლემები ექმნებოდათ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც საკუთრებაში არსებული მიწის დაკანონების სურვილი ჰქონდათ, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე სახელმწიფოს ან ჩინოვნიკის ინტერესი არსებობდა.

მოქალაქეების მიერ ქონების მიტოვების და ელიტური კორუფციის თვალსაჩინო მაგალითი კურორტი ბაზმარო, სადაც კერძო პირების მიერ უძრავი ქონების მიტოვების 79 ფაქტია დაფიქსირებული. პრობლემა აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კურორტების განვითარებაზე და ინვესტიციების მოძიებაზე დაიწყო საუბარი. სხვადასხვა ტურისტულ თუ ინდუსტრიულ ზონებში მოქალაქეებმა ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმეს. თუმცა, დათმობამდე, ამ პირებმა ქონების დასარეგისტრირებლად უამრავი პროცედურა გაიარეს: მათ მიმართეს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, შეაგროვეს და წარადგინეს სხვადასხვა დოკუმენტო, რაც ამ ნაკვეთზე მათ მფლობელობას ადასტურებდა; გააკეთეს აზომვითი ნახაზები, ნოტარიულად დაამონტაჟებინეს მონეტა ჩვენებები, გადაიხადეს საფასური, აიღეს საკუთრების მონობა, მიმართეს საჯარო რეესტრს და კვლავ გადაიხადეს მომსახურების საფასური. ყოველივე ამის შემდეგ, მათ მიატოვეს აღნიშნული ქონება, რაც საფუძვლიან ეჭვს იწვევდა. საინტერესოა, რომ პროკურატურის მალაჩინოსნებთან დაბარების და საუბრის შემდეგ, მოქალაქეები მასობრივად ჩუქნიდნენ ქონებას სახელმწიფოს და ამ პროცედურაშიც დადგენილ საფასურს იხდენდნენ.

მიტოვების შემდეგ, კანონის მიხედვით, ქონება სახელმწიფო საკუთრებაში საჯარო რეესტრისათვის გაკეთებული მიმართვისა და წერილების საფუძველზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აღრიცხა. რეესტრმა კი, ეს ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში 2011 წლის 13, 14, 20, 24 და 25 იანვარს დაარეგისტრირა. საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ ზემოხსენებული 79-დან 78 შემთხვევაში, ქონება მათ მესაკუთრეებს (ფიზიკურ პირებს) მართლზომიერ მფლობელობაში ჰქონდათ. 2008 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებით, ამ მიწის

ნაკვეთების მფლობელებზე საკუთრების მონობები გაიცა. ამ მონობების საფუძველზე მინის ნაკვეთის მფლობელებმა უძრავი ქონება საჯარო რეესტრში დაირეგისტრირეს.

„პირები, რომლებმაც ბაზმაროში საკუთრება მიატოვეს, დიდი ხნის განმავლობაში მიზეზების შესახებ არ საუბრობდნენ, რის გამოც, ვართულებდით და დგენდა, მათ კანონიერი გზებით ჰქონდათ თუ არა საკუთრების უფლების მონობა მიღებული და შემდეგ საკუთრება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. მაგრამ, თუ კომისიამ მართლაც უკანონოდ გასცა რომელიმე პირზე საკუთრების მონობა, კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ მონობის გაუქმების სამართლებრივ გზებს. კომისიის უფლება აქვს, გამოაკლის შენახვებში, ხელახლა შეისწავლოს საქმის გარემოებები და გააუქმოს მის მიერ გაცემული მონობა.“ – აღნიშნულია არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშში, რომელიც ბაზმაროს პრობლემის მოკვლევის შემდეგ, 2011 წელს გამოიცა.

2010 წლის ზაფხულში, გარემოს დაცვის ინსპექციამ, პატრულირებისას „აღმოაჩინა“, რომ მის საკონტროლო ტერიტორიაზე, ტყეში, სახლები იყო აშენებული. ამ ინფორმაციის თანახმად, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა მოკვლევა დაიწყო და 7 სექტემბერს, საჯარო რეესტრის ჩოხატაურის ფილიალის თანამშრომელი გელა დოლოძე დააკავა. შემდეგ ჯერი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე მიდგა, რასაც საკრებულოს ლეგალიზაციის კომისიის თავმჯდომარის, „ნაციონალური მოძრაობის“, ფრაქციის თავმჯდომარის, შოთა სირაძის თანამდებობა შეეწირა. გამომხიების პროცესში გარკვეული იქნა, რომ შოთა სირაძის თავმჯდომარეობის დროს გაცემული საკუთრების მონობების 388 შემთხვევიდან კომისიას არც ერთზე არ უმსჯელია. იმ პირების უმრავლესობა კი, ვისაც საკუთრების უფლების მონობები გადაეცათ, „გურია ნიუსის“, მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს (გურის სამხარეო პოლიცია, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის პოლიცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო) თანამშრომლები ან მათი ოჯახის წევრები იყვნენ.

სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, შოთა სირაძემ 132 ყალბი დოკუმენტი გასცა. თუმცა, თავდაპირველი ვერსიით და ჩოხატაურის საჯარო რეესტრიდან ნაღებული ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, დოკუმენტების რაოდენობა 388 აღწევდა. არავინ იცის, რა ბედი ენია 256 დოკუმენტს. სხვათა შორის, ეს დოკუმენტაცია ორიგინალებს წარმოადგენდა და დღეს ვერცერთი უწყება ვერ ძლევა პასუხს, დაუბრუნდება თუ არა ნივთმტკიცებად ნაღებული დოკუმენტაცია ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელსაც მიმდინარე საკითხების გადასწავლად და საქმეების ინდივიდუალური შესწავლისთვის, სასიცოცხლოდ სჭირდება საბუთები.

დაუსტესობი ცნობილია 132 დოკუმენტი


ტის მფლობელთა ბედი – მათ, უკლებლოც ყველამ, მინა, ზედ არსებული ქონებით, სახელმწიფოს ჩააბარა. მათი უმრავლესობა თანამდებობის პირი იყო – ბევრი პოლიციის მალაჩინოსანი და მათ თანამდებობები დატოვებინეს კიდევ სირაძემ აღნიშნული დანაშაულის გამო, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, სასჯელიც მოხდა.

ბაზმარო ცალკე სარეგისტრაციო სექტორად არის გამოყოფილი და სპეციალური კოდი 28.24. აქვს მინიჭებული. რადგან კურორტს არ ჰყავს მუდმივი მცხოვრებლები, არ ჰყოლია არჩეული მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანო, არ შექმნილა პრივატიზაციის კომისია, არ განაწილებულა მიწები. წლების განმავლობაში, მოქალაქეები ბაზმაროში ეწოდნენ საჯარო რეესტრის ერთობლივ მშენებლობას და მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ისინი ინაწილებდნენ ოთახებს (ბინებს) შეტანილი წვლილის შესაბამისად. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მრავალი ასეთი საგარაკე სახლი დღეს მდგომარეობით დანგრეულია დიდდროვლობის გამო და მათზე მონაცემები დაცულია საგადასახადო სივსა და ტექნიკურის არქივში, თუმცა ძალიან მცირე ნაწილზე (დაახლოებით 15%-ზე).

სარეგისტრაციო სამსახურში ასევე დაცულია მინის მართვის სამსახურიდან გადმოცემული ბაზმაროს მიწის მესაკუთრეთა საგადასახადო სიის ელექტრონული ვერსია და არ არსებობს ამ სიის ქალაქის ვერსია; აღნიშნულ სიაში ძალიან ბევრი უზუსტობაა და სიის მონაცემები ხშირად არ შეესაბამება ტექნიკური ბიუროს არქივში დაცულ მონაცემებს. სია არ არის დამონტაჟებული რომელიმე უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ამ საგარაკე სახლებზე არ ყოფილა თავის დროზე გაცემული გადაწყვეტილება მინის გამოყოფის შესახებ, არ ყოფილა გაცემული მშენებლობის ნებართვები, შენობის ექსპლოატაციაში მიღების აქტი; არ არის გაცემული ბინებზე ორდერი და პრივატიზების ხელშეკრულება.

წინა ხელისუფლების პირობებში, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგისტრაციო) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია უარს ამბობდა საკუთრების უფლების მონობის გაცემაზე იმ მოტივით, რომ ქონება განეკუთვნება ბინის კატეგორიას და ბინებზე საკუთრების მონობა არ გაცემოდა. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცემული #73 ბრძანებულებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების მონობის გაცემაზე უარს ამბობდა საკრებულო და განმარტავდა, რომ აღნიშნული ბრძანებულება ითვალისწინებდა სახელმწიფო საბინაო ფონდში არსებულ არაპრივატიზებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელი ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესს, პირობებს, ამ პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს.

საკრებულოდან მოქალაქეებს ამისამართებდნენ საჯარო რეესტრში და განუმარტავდნენ, რომ საგარაკო სახლები აგებულია 50, 60 ... მეტრი ნიწის წინ და განეკუთვნება მინისა და უძრავი ქონების მართლზომიერ მფლობელო-



ბას. ამდენად, ამ ქონების რეგისტრაცია, კანონიდან გამომდინარე, უნდა მოეხდინა საჯარო რეესტრს. თუმცა, მესაკუთრეები არასაკმარისი დოკუმენტაციის გამო, რეგისტრაციას მაინც ვერ ახერხებდნენ. არსებობდა მხოლოდ სიტყვიერი ნებართვა, რომლის თანახმად, ბაზმაროში მხოლოდ აუქციონის წესით შეძენილ მიწას და ქონებას არეგისტრირებდნენ.

ახალი ხელისუფლების პირობებში, ზემოთ აღნიშნული პრობლემა ნაწილობრივ მოგვარებულია.

როგორც ჩოხატაურის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ჩხიკვაძე ამბობს, ლეგალიზაციის პროცესში შეუფერხებლად, კანონის დაცვით მიმდინარეობს:

„ლეგალიზაციის პროცესი რეალურად 2008 წელს დაიწყო, როცა 2005 წელს მიღებული კანონი ძალაში შევიდა. თუმცა, ბაზმაროსთან დაკავშირებით იყო გარკვეული პრობლემები, რის გამოც, 2009 წლიდან 2015 წლამდე პრაქტიკულად არ ხდებოდა ლეგალიზაცია, მცირედენი გამოაკლისების გარდა. დღეს ჩვეულებრივად, კანონის შესაბამისად მიმდინარეობს ლეგალიზაციის პროცესი. ვიხილავთ განცხადებებს და ვაძლევთ დაკანონების უფლებას, – ამბობს ჩხიკვაძე, თუმცა, ზუსტ მონაცემებს, რა რაოდენობის ქონება აქვთ მესაკუთრეებს დარეგისტრირებული ბაზმაროში, ვერ ასახელებს:

„ზუსტი ინფორმაცია, რამდენ პირს აქვს დღეს დაკანონებული ქონება, არ მაქვს. ამის სტატისტიკური მონაცემები დამუშავების პროცესშია. შევიძლია ვთქვათ, რომ ძალიან მცირე პროცენტია ლეგალიზებული. არის შენობები, რომელიც რეგისტრირებულია და გაცილებით მეტი, რომელიც ჯერჯერობით რეგისტრირებული არ არის. ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბრის დასაწყისში გვექნება სრული ინფორმაცია რამდენ პირს აქვს ლეგალიზების უფლება მიცემული, რამდენს ჰქონდა განცხადებები შემოტანილი კომისიაში და ვის ეთქვა აქედან უარი. ამ პერიოდის შემდეგ, მომავალი წლის სეზონამდე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება მინის ლეგალიზების პროცესის გაგრძელება, რადგან სეზონის დასურვის გამო, ბაზმაროში ასევე შეუძლებელი იქნება. ამის შემდეგ დაამუშავებს კომისია მონაცემებს და უკვე ხელმისაწვდომი

იქნება, – ამბობს ჩხიკვაძე და განმარტავს, რომ იმ პირების მოთხოვნა, რომლებსაც საკრებულოს მინის აღიარების კომისიამ უარი უთხრა, კანონმდებლობას არ შეესაბამებოდა; კომისია პრინციპულ პოზიციასზე დგას და აქამდე არსებულ „შერჩევითი სამართლის“, პრაქტიკაზე კატეგორიულად ამბობს უარს:

„ზოგი ნანგრევები იყო, ზოგი ფართი იმაზე მეტი იყო, ვიდრე ლეგალიზების ექვემდებარება... სხვადასხვა პრობლემების გამო ეთქვათ უარი. ძირითადად, იმ შემთხვევაში ხდება უარის თქმა, როდესაც არ დგას შენობა-ნაგებობა, ან საცხოვრებელი სახლის ნანგრევი არ არის ადგილზე. თითოეულ უარს თავისი, დასაბუთებული და კანონიერი მიზეზი აქვს, – აცხადებს ჩხიკვაძე.

რაც შეეხება წინა ხელისუფლების დროს ბაზმაროში დაკანონებულ მიწებს ჩხიკვაძე ამბობს, რომ ამის კანონიერების გამოკვლევა მისი საქმე არ არის:

„მამინ ვის რა დაუკანონეს, ეს ჩემი საქმე არ არის. მე პასუხისმგებელი ვარ იმაზე, რაც ახლა კომისიაში შემოდის. თითოეულ განცხადებას სახელის და გვარის გარეშე განვიხილავთ. თუ ეკუთვნის ლეგალიზაცია, ამის უფლებას ვაძლევთ. თუ მისი მოთხოვნა კანონმდებლობას აკმაყოფილებს, რა თქმა უნდა, ყველას შეუძლია დაიკანონოს საკუთრებაში არსებული ქონება, – ამბობს ჩხიკვაძე.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბაზმაროს სტატუსი საბოლოოდ განისაზღვროს და კანონმდებლობის რეგულაციებში მოექცეს.

საბოლოოდ, სტატუსის ციკლი რომ შეეჯამოს, ცალსახად შეიძლება დავასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2012 წლიდან შეიცვალა მდგომარეობა კანონიერ საკუთრებასთან მიმართებაში, სამართლიანობა ბოლომდე აღდგენილი მაინც არ არის – მოქალაქეთა საკუთრების უფლების დაცვის კონკრეტული სამართლებრივი რეგულაციების, დაზარალებულთათვის შესაბამისი კომპენსაციის მექანიზმებისა თუ განსახლების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არქონის გამო, საკუთრების უფლებების დაცვის სფეროში არსებული პრობლემები ჯერჯერობით კვლავ გადაუჭრელი რჩება.

მასალა მომზადებულია პროექტის – „საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში“ – ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“.

პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის შეხედულებებს.



ფარაიდან სუფრაელა



№1 09. 2015

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ



მაცნე დოკი:

**„საქართველო
ეკაოპრივად
უახლოვდება ევროკავშირს
ხანონმდებლობას“**

ინტერვიუ საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსთან

ნატო გუგუშვილი
ბაზეთი P.S. ქუთაისი

როგორია საქართველოს კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა სურსათის უვნებლობის რეგულირების კუთხით, რომელ ძირითად უწყებებს ევალება მოსახლეობის სურსათის უვნებლობაზე ზრუნვა და როგორ ხდება საქართველოს კანონმდებლობის მიახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან - ამ და სხვა საკითხებზე ისაუბრა საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზაზა დოლიძემ.

თარება. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან დაახლოების პროცესში სურსათის უვნებლობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა ეტაპობრივად უახლოვდება ევროპულ კანონმდებლობას, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი პროგრესული კანონმდებლობაა და მისი იმპლემენტაცია საქართველოს რეალობაში დიდ გავლენას მოახდენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დონის ამაღლებაზე.

ლოო პროდუქტამდე. ხორციელდება სურსათის ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა. სარეალიზაციო ადგილებში ხდება ეტიკეტის კონტროლი, ასევე, ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენა.

- ბატონო ზაზა, რას ნიშნავს სურსათის უვნებლობა თანამედროვე სტანდარტებით და რა კრიტერიუმებია საერთაშორისო პრაქტიკით ჩამოყალიბებული?

რაც შეეხება საქართველოში სურსათის უვნებლობის მდგომარეობას, სურსათის ეროვნული სააგენტო არის კომპეტენტური ორგანო, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის რეალიზაციის ეტაპებზე.

ცხოველთა სასაკლაოებზე ხორციელდება მუდმივი ვეტერინარული კონტროლი. სამართალდარღვევების გამოვლენის შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომებს.

- თანამედროვე საერთაშორისო ადგილებში მიდგომით, სურსათის უვნებლობა არის სრული სასურსათო ჯაჭვის, ანუ „ფერმიდან სუფრამდე“ პროცესში ფერმერის, მწარმოებლის მიერ სურსათის უვნებლობის დადგენილი მოთხოვნების დაცვა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ადეკვატური კონტროლის განხორციელება.

- საინტერესოა, სურსათის უვნებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის და ევროკავშირის კანონმდებლობის შედარება და შეფასება - მაინც, კონკრეტულად რა კეთდება ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოების მიზნით სურსათის უვნებლობის სფეროში.

- რომელი სახელმწიფო უწყებების ვალდებულებაა საქართველოში სურსათის უვნებლობის საკითხების რეგულირება, კონტროლი და მონიტორინგი? - სურსათის უვნებლობის კონტროლს მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო, ხოლო სასაზღვრო კონტროლს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

საერთაშორისო პრაქტიკით, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი დაფუძნებულია რისკზე, რაც გულისხმობს საფრთხის პროპორციულ კონტროლს; მაგალითად, მაღალი რისკის სურსათი (ცხოველური სურსათი) საჭიროებს გაცილებით ხშირ კონტროლს, ვიდრე დაბალი რისკის სურსათი. საერთაშორისო პრაქტიკაში სურსათის უვნებლობის მნიშვნელოვანი კომპონენტია შიდა კონტროლის თანამედროვე სისტემები - Global Gap, GMP, GHP და HACCP, რომლის დანერგვას და მართვას ახორციელებს ბიზნეს-პერატორი.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო და სხვა სახელმწიფო უწყებები აქტიურად არიან ჩართულნი ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების პროცესში, რაც გულისხმობს შესაბამისი სფეროების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავებას/ცვლილებების შეტანას. ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება გულისხმობს ევროკავშირის დაახლოებით 300 სამართლებრივი აქტის მიღებას და განხორციელებას 2015 - 2030 წლებში.

- როგორ ხორციელდება რეალურად აღნიშნულ სფეროში კონტროლი, რა პრობლემები არსებობს და როგორ უნდა გადაიჭრას ეს საკითხები?

- როგორია დღეს საქართველოში კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა სურსათის უვნებლობის რეგულირების კუთხით და რამდენადაა დაცული ქვეყანაში სურსათის უვნებლობა?

- რა საკანონმდებლო ბაზა არსებობდა და არსებობს სურსათის უვნებლობის რეგულირების სფეროში და როგორია კონტროლის მექანიზმები.

- სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ბიზნეს-პერატორების მონაცემთა ბაზის სრულყოფა, რაზეც მიმდინარეობს ყოველდღიური აქტიური მუშაობა.

- სურსათის უვნებლობის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია როგორც საკანონმდებლო ბაზის მუდმივი სრულყოფა, ასევე, ინსტიტუციური განვი-

- სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმია ინსპექტირება, რომელიც მოიცავს სრული საწარმოო ჯაჭვის კონტროლს - ნედლეულიდან საბო-

ბამონიძე

რა იცინა მოქალაქეებმა „ფორმა 2“-ის შესახებ?

ფორმა #2 ხორცის კეთილსამიერების დამადასტურებელი დოკუმენტია, რაც ადასტურებს რომ ხორცს გავლილი აქვს ვეტერინარული ზედამხედველობა. „ფორმა 2“-ის შესახებ სპეციალური გამოკითხვა გურიასა და იმერეთში ჩატარდა. როგორია გამოკითხვით არაგუმენტები და რამდენად არის მომხმარებელი ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ, გაზეთების: „გურია ნიუსისა“ და „ახალი გაზეთის“ რესპონდენტების მოსაზრებებიდან შეიტყობთ. მომხმარებელთა სრული უმრავლესობა, გარდა გამოწვევისა, საერთოდ არ ითხოვს „ფორმა 2“-ს, არაფერს აინტერესებს პროდუქტის ხარისხის გადამოწმება.



აკაკი ლლონტი, მეურნე, ოზურგეთის მკვიდრი: ბევრი არაფერი ვიცი ამ „ფორმა 2“-ის შესახებ. საზოგადოებაში ვტრიალებ და არც ვინმესგან მესმის ამის შესახებ, თავს ნუ მოვიტყუებთ. აუცილებელია, საინფორმაციო საშუალებებით ვესაუბროთ ხალხს ისე, რომ ყველას გაუჩნდეს ამ ვეტერინარული მოწმობის მიმართ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება და ადამიანი თვითონაც გახდეს პროცესების მონაწილე.



ზინა თავართქილაძე, ეკონომისტი, ოზურგეთის მცხოვრები: ბოლო დროს მესმის, რომ ეს არის ვეტერინარული მოწმობა, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც უნდა ვყიდულობდეთ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ სასურსათო პროდუქტებს. თუმცა, არასდროს მომიტოვია სავაჭრო ობიექტზე, რომ ეს მოწმობა ჩემთვის ეჩვენებინათ. ალბათ, წლებით „გამჯდარი“ ჩვევის და ცხოვრების წესის ბრალია. ადამიანს ყოველდღე უნდა ესმოდა ალნიშნულის შესახებ.



ქუთაისი, ნათია ლეთოდიანი, ექთანი: ფორმა # 2 არის ვეტერინარის მიერ გაცემული ცნობა. რომელიც საჭიროა ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების გასაცემად. რაც შეეხება გამოყენებას, ვეღვით, რომ არ გამოიყენებია. ალბათ ვეტექიმი უნდა გაცეს ეს ცნობა, რომ მოხდეს პროდუქტის გატანა ბაზარზე.

საქირო ინფორმაცია

რას გულისხმობს ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2

საცალო ვაჭრობის ობიექტებში სარეალიზაციოდ განთავსებულ სურსათს თან უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სურსათის თითოეულ სახეობაზე დაგენილი წესით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი ან შესაბამისობის დეკლარაცია. შესაბამისობის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) მწარმოებლის სახელი და მისამართი;
 - ბ) პროდუქტის საიდენტიფიკაციო მონაცემები (დასახელება, ტიპის ან მოდელის ნომერი, პარტია და რაოდენობა);
 - გ) გამოყენებული სტანდარტის ან ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები და საეტიკეტო მონაცემები;
 - დ) დეკლარაციის შედგენის თარიღი;
 - ე) უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა;
 - ვ) განაცხადი, რომ მწარმოებელი კისრულობს პასუხისმგებლობას შესაბამისობაზე.
2. ტექნიკური რეგლამენტი დგინდება საქონლის ან მისი პარტიის შესაბამისობის შეფასების პროცედურების ხორციელდება შემდეგი ფორმებით:
 - ა) მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან პროდუქტის შესაბამისობის დეკლარაციის მიღებით;
 - ბ) მწარმოებლის მიერ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან კონკრეტული პროდუქტის შესაბამისობის შეფასების მიზნით აკრედიტებული სერტიფიკაციის ორგანოსთვის წარდგენით.
3. შესაბამისობის შეფასება ნებაყოფლობითია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. ხორცის თითოეულ პარტიაზე საჭიროა ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2.

შენიშვნა: დანართი მომზადებულია საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“ მიხედვით

ფარაილან სუფრაელა

№2 09.2015

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ



როგორ ვანარყოფთ უვნებელი პროდუქცია - რჩევები ფარმერებისა და მენეჯერებისათვის

ნესტან ჩაბელიშვილი
„ახალი გაზაფხი“, ქუთაისი

გზა, რომელსაც პროდუქცია მწარმოებელიდან მალაზიის, ან ბაზრის დასვამამდე გადის, ხშირად უკონტროლოა, ელემენტალურ ჰიგიენურ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს. შესაბამისად საწყობებში არ არის დაცული ტემპერატურა, ვენტილაცია, სათანადოდ არ ირეცხება, სადგომში უამრავი მწერი, რომელსაც შეუძლია ჯანმრთელი პროდუქტი დაასნებოვნოს.

იმისათვის, რომ ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტი მოხვდეს, აუცილებელია სურსათის უვნებლობის ქართული კანონმდებლობის, ევროსტანდარტების არსებული მოთხოვნების და სამომავლოდ დაგეგმილი ცვლილებების ნორმების დაცვა. ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მოთხოვნა სწორედ პროდუქციის უსაფრთხო და სტანდარტების შესაბამისად წარმოებაა.

თავდაპირველად ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრმა ვალდებულებებმა მოსახლეობაში გაურკვეველობა და შიში გამოიწვია. ფერმერთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ არსებული ნორმები მათ საქმიანობას ვართულებდა, თუმცა, იმისათვის, რომ მწარმოებლებმა აუცილებელი სტანდარტების შესრულება ეტაპობრივად და მარტივად შეძლონ. მთავრობამ ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიხედვით გეგმა 2030 წლამდე პერიოდზე გაწერა.

უნდა გავიაზროთ, რომ ნებისმიერი პროდუქცია, რომელიც ხვდება ბაზარზე და ადამიანი მოიხმარს, უნდა იყოს უვნებელი.

რისკის შესამცირებლად საჭიროა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ჰიგიენის ზოგადი წესების დაცვა.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ზედამხედველობის, მონიტორინგისა და სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის #173 დადგენილების შესაბამისად, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული უნდა იყოს, როგორც მალაზიისა

და სარეალიზაციო ობიექტებში, ასევე სოფლად არსებულ ფერმებში, რადგან ეს არის ჯანსაღი პროდუქტი და ყველა რეალიზაციის დასაწყისში მოთხოვს.

რაც შეეხება მწარმოებელს, ის უნდა დარეგისტრირდეს სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორად, რის შემდგომ, იგი მიიღებს ბიზნესოპერატორის სტატუსს.

სურსათის წარმოებისას უნდა დაცული იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სურსათის უვნებლობის მოთხოვნები: წარმოების, გადამამუშავების და დისტრიბუციის ეტაპებზე. ასევე წარმოებულ სურსათს ვაუკეთოს ეტიკეტი, სადაც მითითებული იქნება პროდუქციის შემადგენლობა და ვადები.

ეს მოთხოვნები 2020 წლის 1 იანვრამდე არ გავრცელდება სურსათის მწარმოებელ ფიზიკურ პირებზე, თუმცა კანონის მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა სარეალიზაციო პუნქტებისათვის. თუ პირი სტაბილურად აწვდის ობიექტს პროდუქციას, ეს არის წარმოება და შესაბამისად, მასზე პირდაპირ ვრცელდება ჰიგიენის მოთხოვნები. ჰიგიენის ნორმების დაცვა ეხება როგორც შენობას, სადაც პროდუქციის წარმოება ხდება, ასევე მის ტექნიკურ აღჭურვას, ტექნოლოგიურ პროცესებს, პერსონალს, მის ჰიგიენას, ეტიკეტირებას, დაფასობასა და ტრანსპორტირებას, რადგან შესაძლოა პროდუქცია ტრანსპორტირების დროს დაზიანდეს. ასევე აუცილებელია საწარმოში დასაქმებულთა მდგომარეობის შემოწმება.

თუ გვინდა სისტემატიურად აწვდის პროდუქციას ბაზარს, მას შეუძლია წარმოებული სურსათი ლაბორატორიულად შემოწმოს, რადგან თავიდან აიცილოს რისკები და ვახდეს უსაფრთხო პროდუქციის მწარმოებელი.

HACCP-ის დანერგვა ამჟამად სავალდებულოა, თუ ბიზნესოპერატორი წარმოადგენს სასაკლაოს, ანდა ახორციელებს ნედლი რძის თერმულ დამუშავებას. სტანდარტის დაცვა სავალდებულოა წვრილი ფერმერებისთვის, თუმცა სურსათის უვნებლობის უფრო მაღალი

სტანდარტის მისაღწევად, კანონი გარკვეულ დროს იძლევა.

წვრილი მწარმოებლებისათვის ერთ-ერთი ეფექტური გზა კოოპერატივის ჩამოყალიბება, რომლის წევრებიც თავად მოახდენენ პროდუქციის რეალიზაციას.

სურსათის სახეობაზე და შემოწმების მიზანზე დამოკიდებულებით სურსათი შესაძლოა გამოკვეთილი იქნას შესაბამისი ტექნიკური რეგულაციებით და/ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანებით გათვალისწინებულ პარამეტრებზე. ლაბორატორიები, სადაც შესაძლებელია პროდუქციის შემოწმება, საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში არსებობს. ამასთან, მუშაობს კერძო ლაბორატორიებიც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ტრანსპორტირება ხდებოდა პროდუქციის დაზიანების მიზეზი. ცხოველებს დაკვლა და დამუშავება სოფლებში არაჰიგიენურ პირობებში ხდებოდა, თუმცა სასაკლაოების შემოღებამ ხორცის დამუშავების პროცესი ცივილურ ჩარჩოში მოაქცია, თუმცა სასაკლაოების საკითხმა თავდაპირველად რიგი უკმაყოფილება გამოიწვია. ხორცის მალაზიის მეტატრონიები თვლიდნენ, რომ პირუტყვის სასაკლაოზე ტრანსპორტირება და დაკვლის ხარჯები ხორცზე ფასის მატებას გამოიწვევდა. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ სასაკლაოებზე პირუტყვის დაკვლა ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი რგოლია უვნებელი ხორც-პროდუქტების საწარმოებლად.

იმისათვის რომ სტაბილურად აწვდის პროდუქციას სურსათი, უნდა წარმართო წარმოების, გადამამუშავების და დისტრიბუციის ეტაპები საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის პირობებში. ამ პირობების უზრუნველყოფა, მოიცავს გარკვეულ დანახარჯებს, შესაბამისად, შესაძლოა, მას ფასების მატებაც მოყვებ, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პროცესის დაცვა ადამიანთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ემსახურება.

ინტერვიუ

დარღვევის შემთხვევაში, მომხმარებელმა თვალის არ უნდა დახუჭოს



მოწმდება თუ არა პროდუქტები, რომელიც სუპერმარკეტებსა და ბაზრებში იყიდება. რა მექანიზმები მოქმედებს მათი ვარგისიანობის დაცვის, შენახვის, ტრანსპორტირებისა და ჰიგიენური ნორმების დასაცავად. ამ მნიშვნელოვან საკითხებზე სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი ქაზან სოხაძე საუბრობს.

ნიმუ ბაქაური,
გაზაფხი „დიდგორაქი“

— რა ახალი რეგულაციები ამოქმედდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ და სურსათის რომელ სახეობებს შეეხო?

— სურსათის უვნებლობის კონტროლის ფორმა მთლიანად მოქმედებული და, პრაქტიკულად, შეჩერებული იყო. 2012 წლიდან

კონტროლი აქტიურ ფაზაში შევიდა და ახლა სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო კონტროლს დასავლური კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს.

— რა უნდა იცოდეს მომხმარებელმა ახალი რეგულაციების შესახებ?

— მხოლოდ მიმდინარე წელს არაერთი რეგულაცია ამოქმედდა, რომელიც მომხმარებლის უფლებების დაცვისკენ არის მიმართული. მაგალითისთვის რამდენიმე მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას: ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება თაფლის შესახებ ტექნიკური რეგულაციის დამტკიცების თაობაზე, რომელიც ადგენს მოთხოვნებს ნატურალური თაფლის მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ თაფლის წარმოებისა და ბაზარზე განთავსების საკითხებს.

(გაგრძელება მომდევნო გვ.)

საქირო ინფორმაცია მწარმოებლებისთვის

HACCP - საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები - მეთოდი გამოიყენება მთელი მსოფლიოს მასშტაბით სურსათის წარმოებაში



რა არის HACCP?

HACCP-ს პრინციპები, რომელიც შემუშავებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და გერმანიის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UNFAO) Codex Alimentarius კომისიის მიერ მოითხოვს, რომ საფრთხეებისა და რისკების ანალიზის სისტემური მიდგომის გზით, ორგანიზაციამ ჩამოაყალიბოს შედეგადიანი სურსათის უვნებლობის სისტემა. სურსათის და ფარმაცევტული წარმოების უვნებლობის სისტემაში საფრთხეებისა და რისკების ანალიზის სისტემური მიდგომა უფრო მეტად მიმართულია ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფრთხეების წარმოქმნის წყაროების პრევენციის უზრუნველყოფაზე, ვიდრე საბოლოო პროდუქტის კონტროლზე.

სტანდარტი გამოიყენება სურსათის წარმოებაში სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად პოტენციური საფრთხეების იდენტიფიკაციის მიზნით, რათა შეამციროდეს ან აღმოფხვრას საფრთხის წარმოშობის რისკი იმ მნიშვნელოვან ეტაპებზე, რომლებსაც ვუწოდებთ კრიტიკულ საკონტროლო წერტილებს (CCP's). სისტემა გამოიყენება სურსათის წარმოების და მომზადების ნებისმიერ ეტაპზე. ვის შეუძლია გამოიყენოს

HACCP?

HACCP-ს გამოყენება შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც მონაწილეობს სურსათის და ფარმაცევტული ნაწარმის მიწოდების ჯაჭვში.

HACCP-ს უპირატესობები:

- **ვალდებულება** - სასურსათო ჯაჭვში მონაწილე კომპანიებმა უფრო მკაფიოდ უნდა შეძლონ შედეგადიანი HACCP-ს სისტემის დამუშავება. გარდა ამისა, სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად ოფიციალური მიდგომის ვალდებულების აღება დაგეგმარებათ წარმოაჩინოთ თქვენი ვალდებულება საკანონმდებლო მოთხოვნებთან მიმართებაში, რადგან ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს HACCP სისტემას.
- **ნდობა** - თქვენი კლიენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისა, რომლებიც ხვდებიან სურსათის უვნებლობის მიმართ თქვენს სერიოზულ მიდგომას.
- **კომპეტენტურობა** - თქვენს კონკურენტებთან შედარებით თქვენ განდებით გამოირჩეული, რაც საშუალებას მოგცემთ გახდეთ სანდო მიწოდებელი.
- **წყარო:** Iso Consulting / სურსათის გლობალური სტანდარტის მიხედვით.

საკუთრების უფლების მოპოვება და დახვეწა ისევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საკანონმდებლო ცვლილების მოლოდინში

მოქალაქეთა საკუთრების უფლების დაცვის კონკრეტული სამართლებრივი რეგულაციების დაზარალებულთათვის შესაბამისი კომპენსაციის მექანიზმებისა და განსახლების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არქონის გამო, წინა ხელისუფლების დროს მოსახლეობისთვის შექმნილი პრობლემა სწრაფად იხსნება. კერძოდ, 2012 წლამდე მესტიის განვითარებულმა მოსახლეობამ, ადგილობრივი მოსახლეობა საგრძნობლად დააზარალა; მოსახლეობას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები სახელმწიფომ მცირე კომპენსაციებით ან სრულიად უსასყიდლოდ იძულებით ჩამოართვა. იმ დროს შექმნილი კანონმდებლობის გამო კი, ადგილობრივები დღემდე ვერ ახერხებენ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დაკანონებას.

თუმცა, მესტიის და მთის რეგიონების პრობლემა, შესაძლოა, უახლოეს მომავალში გადაიჭრას – საკანონმდებლო ორგანო კანონში ცვლილების შეტანას გეგმავს, რაც მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთების დაკანონებას შესაძლებელს გახდის.

პრობლემა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს შეიქმნა

ოფიციალური დოკუმენტაციის არარსებობის ან სიმცირის გამო, მიწის დაკარგვის და მიწის დაპატრონების რისკი განსაკუთრებით მაღალია იმ შემთხვევაში, სადაც ურთიერთობები ტრადიციულ და ადრე-ნების დამყარებულ უფლებებს ეყრდნობა. ზემო სვანეთში დაგვიდასტურდა უკვე გახორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები კი (აეროპორტი, სათხილამურო ტრასა და საბაგირო, სასტუმრო), უმეტეს შემთხვევაში, ტრადიციულ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების, ძირითადად, საძოვრებისა და სათიბების ტერიტორიაზე გახორციელდა. ვინაიდან ადგილობრივების უმეტესობას მიწის ნაკვეთები საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ ჰქონდა, ან ჰქონდა, მაგრამ მიწის ნახაზების ელექტრონული ვერსიები აკლდა, ინფრასტრუქტურული პროექტების გახორციელებისას, მიწის ტრადიციულ მესაკუთრეთა ინტერესების დაცვა გართულდა. ამავდროულად, მიწის დარეგისტრირების თუ ნახაზის ელექტრონული ვერსიით შეცვლის ყველანაირი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა – რეესტრის კანცელარია, უბრალოდ, აღარ იღებდა სარეგისტრაციო დოკუმენტებს და მოქალაქეებს უარით ისტუმრებდა. მესტიის რეესტრის უარს "თბილისიდან სატელეფონო ზარი" ხსნიდნენ. სახელმწიფო ადგილობრივებს წლების განმავლობაში მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებში ან მწირ კომპენსაციას (1 კვ. მ.-ზე 3-4 ლარს) სთავაზობდა ან უსასყიდლოდ, ძალით ართმევდა.

ადგილობრივების თქმით, კომპენსაციები ვერანაირად ვერ ანაზღაურებდა იმ დანაკარგს, რაც მიწის ჩამორთმევას მოჰყვა, თუმცა მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა ასეთ მწირ კომპენსაციებს დათანხმებოდა. ვინც კომპენსაციას არ დათანხმდა, მათ მიწა სახელმწიფომ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ჩამოართვა, წინააღმდეგობის გამწევი რამდენიმე ადამიანი დააპატიმრეს კიდევ.

მესტიის არსებული მდგომარეობა, 2011 წელს, ფონდის "ღია საზოგადოება – საქართველო" ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით პროექტის – "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში" – ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევის საგანი გახდა.

"ზემო სვანეთში დაგვიდასტურდა უკვე გახორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები (აეროპორტი, სათხილამურო ტრასა და საბაგირო, სასტუმრო), უმეტეს შემთხვევაში, ტრადიციულ მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე ხორციელდებოდა. ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა ისე დაიწყო, რომ ადგილობრივებს არ მიეცათ ამ ტერიტორიებზე ტრადიციულ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში რეგისტრაციის შესაძლებლობა. მშენებლობის დაწყების შემდეგ, არ მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილება, რადგან ამისთვის საჭირო იყო მიწის ნაკვეთების მოქალაქეთა საკუთრებაში რეგისტრაცია. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, მაგ. პანვალის სათხილამურო კომპლექსის მშენებლობის შედეგად, დაზარალებული რჩება, მინიმუმ, კიდევ 20 ოჯახი, რომლებიც ვერ ირეგისტრირებენ მიწებს საკუთრებაში და შესაბამისად, მათთვის არც საკომპენსაციო თანხის გაცემა იგეგმება", – აღნიშნულია ანგარიშში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვლევისას შერჩევითი სამართლის ნიშნებიც გამოიკვეთა, რასაც მესტიის საჯარო რეესტრის მიერ დადგენილია შეზღუდვები და ე. წ. აკრძალული სარეგისტრაციო ზონა (წყლის გაღმა ტერიტორია) წარმოშობდა.

როგორც ანგარიშშია ნათქვამი, ამ ზონაში არსებული ნაკვეთების რეგისტრაციაზე საბუთებს რეესტრის კანცელარია აღარ იღებდა. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც საჯარო რეესტრის მიერ მოქალაქეებისათვის ე. წ. აკრძალული სარეგისტრაციო ზონაში მაინც ხორციელდებოდა მიწის ნაკვეთების საკუთრებაში რეგისტრაცია. ანგარიშში მოტანილია ფაქტები, როდესაც საუკუნეების მანძილზე მოქალაქეების მიერ ტრადიციულ კუთვნილებაში მქონე მიწები, აღმოჩნდა სხვა მესაკუთრის – კერძოდ, პარლამენტის წევრის შვილის ხელში, რომელმაც ამ მიწაზე სასტუმრო ააშენა.

"სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებული შესაძლო კონფლიქტები და უარყოფითი შედეგები. მათ შორის, მიწის საკითხი, რომელიც სვანებისათვის ერთგვარად იდენტობის განმსაზღვრელია. არ გაითვალისწინებულა მიწის ფლობის გარშემო აგებული ურთიერთობების რღვევა და მიწის ნაკვეთის, როგორც საუკუნეების განმავლობაში ერთადერთი სარწმუნო-საბაბელოს, შესაძლო დაკარგვა. მესტიის მოსახლეობა განსაკუთრებულ სირთულეებს წააწყდა ტრადიციულ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების (რაც მესტიის რაიონის დაახლოებით 80% მოიცავს) რეგისტრაციისას. საქართველოს კანონმდებლობით შემოთავაზებული საკუთრების უფლების ლეგალიზების ორი საფუძვლიდან – "თვითნებური დაკავება" და "მართლმორიერი ფლობა" – უმრავლეს შემთხვევაში, ვერც ერთი ვერ ესადაგება მესტიის (ისევე როგორც, ზოგადად, სვანეთში) გავრცელებულ საკუთრების ფორმას – ტრადიციულ ფლობას", – წერია ანგარიშში.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაზარალებულ მოსახლეობას, რომელიც არასამთავრობოების ინფორმაციით, 120 ოჯახს მოიცავდა, სამართლებრივი გზით არ უდავია და სასამართლოსთვის არ მიუმართავს, ამას კი დოკუმენტაციის არქონით ხსნიდნენ.

არსებული მდგომარეობა დღევანდელი მდგომარეობით, დაბა მესტიის, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება და მისი დაცვა ისევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, რასაც კანონმდებლობის გაუმართაობით ხსნიან. მოსახლეობა მაშინაც და ახლაც ითხოვს ტრადიციულ მფლობელობაში არსებული მიწების დარეგისტრირების საშუალება მიეცეთ, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ, რომ რიგ შემთხვევებში, მიწის ნაკვეთების სა-

ნაცვლოდ, ერთჯერადი კომპენსაცია მიიღონ ან საკუთრებაში დაიტოვონ და ინვესტორთან სეზონური გამოყენების თაობაზე მოლაპარაკებას მიაღწიონ.

როგორც მესტიის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს მიწის აღიარების კომისიის თავმჯდომარე ზაურ ჩართლანი ამბობს, რეგისტრაციის პროცესი ისევე შეფერხებით მიმდინარეობს, რადგან კანონმდებლობა მიწის მართლმორიერი და არამართლმორიერი საკუთრების გარდა, სხვა პრეცედენტს დაკანონების პროცესში არ ცნობს:

"სამწუხაროდ, ჩვენ საკანონმდებლო ბაზის პრობლემა გვაქვს, სადაც სვანეთის და საერთოდ, საქართველოს მთის რეგიონების რეალობა არ არის ასახული. მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ ორ ცნებას იცნობს, მართლმორიერი ფლობა და არამართლმორიერი ფლობა. მართლმორიერი ფლობა, როცა ყველა დოკუმენტი გვაქვს, რასაც კანონმდებლობა ითხოვს. თუმცა, სვანეთში მხოლოდ 50-60% ფლობს ამ დოკუმენტაციას; დანარჩენები, გამოდის, რომ მიწის არამართლმორიერი მფლობელები არიან. ისინი არიან სამეკვიდრეო მიწებზე, მათი წინაპრების მიწაზე, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ფლობენ. აქ გვაქვს კაზუსი – ერთის მხრივ, როგორ შეიძლება წინაპრების დატოვებული მიწა არამართლმორიერი იყოს და მეორე, არ გვაქვს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც მოსახლეობას რეგისტრაციის პროცესში ხელს უშლის. ეს კი სვანეთში ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის განვითარებას შეაფერხებს. საკმაოდ დიდი მშენებლობები მიმდინარეობს მესტიის და ყველა მესაკუთრეს თუ რეგისტრირებულს არ აქვს მიწა, ცენტრალური ხელისუფლება ანაზღაურებს ვერ უხდის. ეს ყველანაირ მშენებლობას აფერხებს. ვერ ვითარდება სოფლის მეურნეობა, რადგან თუ მიწას საკუთრებაში არ ფლობ, ინვესტირებას ვერ ახორციელებს. ამას მარტივი გადაწყვეტილება უნდა ცენტრალური ხელისუფლებისგან და პარლამენტისგან – დაუკანონდეს მოსახლეობას მიწები არსებულ რეალობაში ისტორიული ფაქტორით, გარდა იმ მიწებისა, რომელიც დღეს სახელმწიფოს აქვს დაკავებული", – ამბობს ჩართლანი.

პრობლემის გადაჭრის გზა

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად ტრადიციულ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების დაკანონების უფლების მინიჭებაში ხედავს, როგორც მოსახლეობა, ასევე, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი მესტიიდან ვიქტორ ჯაფარიძე. მისი თქმით, უკვე დაწყებულია მუშაობა კანონში ცვლილების შესატანად და უახლოეს მომავალში პროექტის ვარიანტიც საჯარო გახდება. როგორც ჯაფარიძე ამბობს, პროექტის პირვანდელი ვერსია სამინისტროებისთვის უკვე გადაგზავნილია, თუმცა, მათი შენიშვნების მიღებისა და შეხსნორების შემდეგ, როგორც სახელმწიფო კანონში ცვლილება, ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია. ერთი რამ კი ცხადია – მესტიის მოსახლეობა და ადგილობრივი ხელისუფლება მემკვიდრეობით მიღებული მიწების დაკანონებას ითხოვს, რაც "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგისტრაციო) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონში "ისტორიული ფაქტორის" მუხლით უნდა შევიდეს.

"ახლა ჩვენ არ ვითხოვთ იმ მიწებს, სადაც სახელმწიფოს გზა ან რაიმე სტრატეგიული ობიექტი აქვს, მაგრამ, რაც ახლაც მოსახლეობის მართლმორიერი მფლობელობაშია, ის მიწები დააკანონონ. უსამართლობაა, რომ მოსახლეობას, რომელსაც ეს მიწები საკუთრებაში აქვს, არ დაუკანონდეს. ამ მიმართულებით ვაპირებთ კანონში ცვლილებების შეტანას. პრობლემა აქ იმაშია, რომ არქივის ცნობას, მიხილ სააკაშვილის შექმნილი კანონმდებლობა არ ცნობს. 1991 წელს გაცემული მიწის საკუთრების დოკუმენტაცია ვისაც აქვს, ის ითვლება კანონიერ მფლობელებად. ეს დოკუმენტები ელურად შევარდნის ხელისუფლების დროს მოსახლეობამ მიწის გადასახადების გამო ვერ აიღო. ახლა კი, ადგილობრივები ითხოვენ, რომ 1954 წელს, არქივი არსებული ცნობების საფუძველზე მოხდეს მიწის დაკანონება. ამასთანავე, გამგებლის ან მომიჯნავე მფლობელების განცხადებების საფუძველზე მოხდეს დაკანონება, რადგან მოსახლეობა ერთმანეთში ფართობების საზღვრებს არ დავობს. თავის უფლად შეიძლება ხალხის სასარგებლოდ უბიუროკრატიო გადაწყვეტა, ამ შემთხვევაში, სახელმწიფოც მოგებული დარჩება და მოსახლეობაც", – ამბობს ჯაფარიძე.

ამასთანავე, ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ მოსახლეობას უკანონებენ მხოლოდ 5000 კვ. მ. მიწას; ამის ზემოთ რეგისტრაცია არ მიმდინარეობს. ხალხს 2-3 ჰა მიწის ნაკვეთებიც აქვს, რაც რეგისტრაციისას პრობლემას ქმნის: "საკმაში იმის მოაწყო ყველაფერი, რომ მესტიის დაბაში მიწის რეგისტრაცია საერთოდ არ ხდებოდა. არქივის ცნობაც რომ გქონოდა, არავინ გირეგისტრირებდა. მე, მაგალითად, მესტიის ცენტრში რეგისტრირდები და მაქვს სათიბი მიწის ფართობი, რომლის მხოლოდ ნახევარი მაქვს დაკანონებული, მეორე ნახევარს დაკანონებას კი ვერ ვახერხებ. დღესაც დგას ეს პრობლემა, მაგრამ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ იუსტიციის სამინისტროსთან და გვინდა, არსებული მდგომარეობა კანონით დაგვარეგულოთ", – ამბობს ჯაფარიძე, თუმცა დეპუტატს უჭირს საჯაროდ თარიღის დასახლება, როდის შეიძლება შევიდეს კანონში ცვლილება პრობლემის გადასაჭრელად.

კითხვაზე – თუ კანონში აღნიშნული ცვლილება ვერ შევა, ხომ არ არის საშიშროება, წინა ხელისუფლების დროს დაწყებული უკანონო დაწყებული გაგრძელდეს? – მესტიის საკრებულოს მიწის აღიარების კომისიის თავმჯდომარე ზაურ ჩართლანი გვპასუხობს: "დღევანდელი ხელისუფლება რადიკალურად განსხვავდება წინა ხელისუფლებისგან, არავინ არაფრის ჩამორთმევას არ აპირებს მოსახლეობისთვის. შესაძლოა, იყოს ერთეული შემთხვევები, ისეთი, როდესაც ხელისუფლება ანაზღაურებს დანაკარგს, მაგრამ მესაკუთრე არ არის თანახმა არც ერთ შეთავაზებულ ვარიანტზე, ამ შემთხვევაში, ისევე ექსპროპრიაციის შესახებ კანონის ფარგლებში, მოხდება მიწის საკუთრების იძულებით ჩამორთმევა. როცა ათასისგან ერთი ადამიანი განსხვავდები და ამით აზარალებს სახელმწიფო ინტერესს, ვფიქრობ, ეს კანონიც უნდა ამოქმედდეს", – ამბობს ჩართლანი და დასძენს, რომ "შომავალი წლიდან მთის კანონი ამოქმედდება, რომელიც ბიზნესის განვითარებას ხელს შეუწყობს, მაგრამ მიწის გარეშე ბიზნესის განვითარება დედამიწაზე ვერ ვერავის მოუფიქრებია და არც არსებობს. ამიტომ, როცა ერთი კანონით ხელს უწყობენ ამის გაკეთებას, მეორე კანონი ხელს არ უნდა უშლიდეს".

მასალა მომზადებულია პროექტის – "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში" – ფარგლებში.

პროექტის ფინანსური მხარდაჭერა ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო". პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის შეხედულებებს.



ქუთაისის ტურისტული ლოგო შეიქმნა, თუმცა მერია კონკურსს ისევ გამოაცხადებს

ქუთაისის მერია ქალაქის ტურისტული ლოგოს შესარჩევად კონკურსს თვეზე მეტია გამოაცხადებდა. როგორც ირკვევა, საკონკურსო კომისიამ, რომლის თავმჯდომარე თავად ქალაქის მერი შოთა მურდულია გახლდათ, ლოგო შეარჩია, თუმცა, გამარჯვებულმა ნამუშევარმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ამის გამო თვითმმართველობა კონკურსის ხელახლა გამოაცხადებს გეგმავს.

მერიაში ოფიციალურად არ დაუზუსტებიათ, რატომ არ დაამტკიცა მერმა კომისიის მიერ მოწოდებული სოსო უგრეხელიძის ნამუშევარი.

ტურიზმის განყოფილებამ ამ თემასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა. როგორც აქ ამბობენ, ამჯერად ლოგოს შერჩევის პროცესი საჯარო იქნება და ყველა ადამიანს მიეცემა საშუალება, საკუთარი აზრი გამოთქვას განსახილველად წარმოდგენილი ქუთაისის ტურისტული ლოგოს პროექტის შესახებ.

„კომისიის მიერ შერჩეულმა ლოგომ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამის გამო, ქუთაისის მერია ქალაქის ტურისტული ლოგოს შესარჩევ კონკურსს რამდენიმე დღეში ხელმოკრულად გამოაცხადებს. მერიაში შემოსული ლოგოს ვარიანტები იქნება საჯარო. ყველა ადამიანს მიეცემა საშუალება შერჩევაში, მიიღოს მონაწილეობა, — ნათქვამია სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დირექტორი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“ (პოსტსოციალიზმი).
ქუთაისის სასამართლო რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთი „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უკ) 3+321 (479.22) (054) ბ - 658 P - 86

მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.

• (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
• psnews27@gmail.com
• www.psnews.ge

გზა ევროპისკენ

საქართველოს ევროპული გზა

საქართველოს უახლესი ისტორია დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას უკავშირდება. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტებს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამ პრიორიტეტების ირგვლივ არის გაერთიანებული მმართველი და ოპოზიციური პოლიტიკური ძალები, საზოგადოება, მოქალაქეები, თაობა, რომელმაც საქართველოს ევროპული მომავლის შესახებ 20 წლის წინ მიიღო გადაწყვეტილება და თაობა, რომელიც დღეს და მომავალშიც ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება.



თილდებობა, რომელიც ევროპის ყველა მოქალაქისათვის არის ხელმისაწვდომი. ტრადიციულად, ევროპა პროგრესსა და განვითარებასთან იყო ასოცირებული. ქრისტიანობაც ევროპაში დაიბადა. ევროკავშირის დევიზია „ერთობა მრავალფეროვნებაშია“. ეს მართლაც ასეა. 28 ქვეყნის კულტურული, რელიგიური, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა და ტრადიციები ამდღერებს ევროპულ კულტურას და საინტერესოს ხდის მას. ეს არის კავშირი, რომელსაც 24 ოფიციალური ენა აქვს; სადაც ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობს; ყველას აქვს განათლების მიღების საშუალება; ყველას შეუძლია თავისი რწმენის მიხედვით აღმსარებლობა; ტრადიციებს, კულტურას, ფოლკლორს ყველა პატივს სცემს; კანონი ყველას თანაბრად იცავს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროკავშირი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საბაზრო სივრცეა. ასოცირების შეთანხმების გაფორ-

მების შემდეგ, საქართველოს 2014 წლის 1 სექტემბრიდან აქვს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა. რეალურად ეს არის ჩვენი ეკონომიკისთვის ყველაზე დიდი სივრცე, თუმცა უნდა ითქვას, რომ ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობა არ გვიზღუდავს სხვა ბაზრების ათვისებას. მთავარია, ჩვენ მინიმალური შეცდომებით და მაქსიმალური წარმატებით შევძლოთ გარკვეული ვალდებულებების დაკმაყოფილება. რაც შეეხება ვალდებულებებს, ეს არის ის აუცილებელი ღონისძიებები, რაც ჩვენ უნდა განვახორციელოთ არა მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენ ევროპულ ბაზარზე შევადგინოთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრება იყოს უკეთესი, გვეზღუდოს ჯანსაღი გარემო და უფლებები პროდუქტით. ასოცირების შეთანხმება ევროკავშირში წევრობას არ ნიშნავს. ეს არის ჩვენი უკეთესი მომავლის, განვითარების, ახალი შესაძლებლობებისა და პერსპექტივების გარანტი. ასო-

ცირების შეთანხმება არის ვრცელი დოკუმენტი და იმ შეთანხმებათა ნუსხა, რომელიც საქართველომ უნდა განახორციელოს იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრების დონე, როგორც პოლიტიკური, სამართლებრივი, ასევე ეკონომიკური და სოციალური, მიუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს. ასოცირების შეთანხმებით ითვლება პრაქტიკულად ყველა სფერო: განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, კანონის უზენაესობა, მოწესრიგებული სავაჭრო ურთიერთობები, რეგიონული მოწყობა, დეცენტრალიზაცია, უსაფრთხო დაცული საზღვრები, სურსათის უვნებლობა, მკირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და სხვა მრავალი საკითხი. ამიტომ არის ასოცირების შეთანხმება ყოველმომცველი დოკუმენტი და ჩვენი ქვეყნის რეფორმირების გეგმა. მის წარმატებულ განხორციელებას ჩვენი განვითარება და ძლიერ, ეკონომიკურად მზარდი და დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სტაბილური და უსაფრთხო მომავლისათვის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას ალტერნატივა არ აქვს. ეს არის ჩვენი განვითარების გზა და ამ გზაზე საზოგადოების კონსოლიდირებასა და სიმყარეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა მეტი სიფრთხილე, რათა პოლიტიკურ ჭიდილს ყველაზე მნიშვნელოვანი — ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და ძლიერ ოჯახში დაბრუნების პერსპექტივა არ დაუკარგოთ.

ელენე გოცაძე
„ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი

რეგიონული მედიის ასოციაციამ იმერეთში ტრაფიკინგის პრევენციის საინფორმაციო კამპანია დაიწყო

პირველი გვერდიდან

შეხვედრაზე მასმედიის წარმომადგენლები, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კოორდინატორი, ნათელა მჭავანაძისგან გაეცენენ მიგრაციის ლეგალურ გზებს, მიგრანტების უფლება-მოვალეობებს, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორებს და ა.შ. შეხვედრის დასასრულს იურისტმა ბაატა ცნობილიძემ მასმედიის წარმომადგენლებს გააცნო, თუ როგორ უნდა გააშუქონ მათ ტრეფიკინგის თემა, როგორ უნდა მოიძიონ ინფორმაციის წყაროები, ასევე შეეხებოთ ურნალისტიკის ეთიკურ ნორმებს.

საინფორმაციო შეხვედრაზე გამოცხადდა კონკურსი რეგიონული მედიისთვის, საუკეთესო ბეჭდური სტატიის, საუკეთესო მულტიმედია ონლაინმასალის, საუკეთესო ტელე და რადიო სიუჟეტისთვის. პირველ პრიზებს, გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და ინტელექტუალური პრიზებით. ამავე დღეს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ინიციატივით ქუთაისის იუსტიციის სახლში შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ქუთაისის სკოლების მოსწავლეები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ხოლო მეორე დღეს რეგიონული მედიის ასოციაციისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები წყალტუბოს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნების“ უფროსკლასელებს შეხვედრენ და ტრეფიკინგის პრევენციის შესახებ განსაუბრენ.

ყუარაღბა!

ტრეფიკინგის პრევენციის მედიაცენტრი იმერეთში გირჩევთ:

- თუ გაქვთ ინფორმაცია ტრეფიკინგის ფაქტის შესახებ,
 - თუ გაქვთ შეკითხვა, როგორ დაიცვათ თავი ტრეფიკინგისგან,
 - თუ გჭირდებათ იურიდიული, ან ფსიქოლოგიური დახმარება,
- ნებისმიერ შემთხვევაში**, დაგვიკავშირდით ტრეფიკინგის პრევენციის რეგიონული მედიაცენტრის საკონტაქტო ტელეფონებზე:

577 247 711; (0431) 24 45 46 — გაზეთ „P.S.“-ის („პოსტსოციალიზმის“) რედაქცია;
599 740 760; (0431) 24 18 87 — გაზეთ „ახალი გაზეთის“ რედაქცია.

ტრეფიკინგის პრევენციის მედიაცენტრი მუშაობს ყოველდღე, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. ხოლო 24-საათიანი ცხელი ხაზი მოქმედებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში.

დარეკეთ!
(+995 32) 2 100 229 — სახელმწიფო ფონდი
(+995 32) 2 411 716 — შინაგან საქმეთა სამინისტრო

სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის

2013 წლიდან მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ევროკავშირის დაფინანსებით ახორციელებს პროგრამას „რეინტეგრაციული დახმარება“, რომელიც საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებთან, ძირითადად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით იმართება: „პროგრამა ვრცელდება საქართველოს იმ მოქალაქეებზე, რომლებიც არალეგალურად ცხოვრობდნენ საზ-

ღვარგარეთ, უწყვეტად 1 წლის განმავლობაში და დაბრუნდნენ საქართველოში (დაბრუნებიდან არაუგვიანეს 10 თვისა). მათ აქვთ უფლება მოგვართონ ჩვენ, მობილურობის ცენტრს. მიიღონ დახმარება ან კონსულტაცია რამდენიმე მიმართულებით: სასწრაფო და გადაუდებელი, ელემენტარული პირობებით — 1000 ლარის ლიმიტით, სამედიცინო, სასწავლო კუთხით (გადაზღვევა არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში). ბიზნესგანტით — 3000 ლარის ოდენობით. მკირე ბიზნესის დაწყების ხელშეწყობა იმ პირებზეა გათვლილი, რომელთაც



„P.S. ფონდი“ (თავარ ბოზორიანი) © ნუზარ კობახიძე

— აღნიშნა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ქუთაისის ოფისის კოორდინატორმა, ნუზარ კობახიძემ. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმებს, სარეინტეგრაციო დახმარების შესაძლებლობების დადგენა და მხარდაჭერა შესაძლებელია მიგრანტების ჩამოსვლამდე, ძირითადად, ეხება ჯანმრთელობასა და დროებით საცხოვრებელთან დაკავშირებულ საკითხებს.

თავარ ბოზორიანი